

შპს „გუდაური ლოჯი“

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური
ანგარიშგება

2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. მოზადების საფუძველი	5
3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
5. ამონაგები მასპინძლობის მომსახურებიდან	12
6. მასპინძლობის მომსახურების თვითღირებულება	12
7. მოგების გადასახადი	12
8. ადმინისტრაციული სახელფასო და დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	13
9. ძირითადი საშუალებები	13
10. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	15
12. ფინანსური ინსტრუმენტები	15
13. საკუთარი კაპიტალი	22
14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	23
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	24
16. დამატებითი ფინანსური ინფორმაცია-კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა აშშ დოლარში	25



**Building a better
working world**

შპს იუაი
საქართველო, 0105, თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC
44 Kote Abkhazi street
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გუდაური ლოჯის“ პარტნიორსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გუდაური ლოჯის“ და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში „ჯგუფი“) 2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წლისთვის მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადებისგან, შესადარისი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის შესადარისი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თუ არ ჩავთვლით ჩვენი ანგარიშის პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენას, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე ჯგუფის შესადარისი კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის საქმიანობის შესადარისი კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ შედეგებსა და შესადარისი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფულადი სახსრების მოძრაობას, ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორად დავინიშნეთ 2025 წლის განმავლობაში, ამიტომ არ შევსწრებივართ 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ ინვენტარიზაციას. ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული საშუალებებით დაგვედგინა 2024 წლის 30 აპრილითა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობა, რომელიც კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულია 448 ათასი ლარის და 408 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. ყოველივე ამის შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა გაცხადებულ ან განუცხადებელ მარაგებში 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით და მასპინძლობის მომსახურების თვითღირებულებაში, რომელი ასახულია კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებში, რომლებიც ასახულია კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში 2025 წლის 30 აპრილითა და 2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წლებისთვის.

აუდიტები წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტებზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან [ჯგუფისგან] ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტებს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტებზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტების პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი.

როგორც ჩვენი დასკვნის ნაწილში „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღვწერეთ, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირებების შეტანა ჯგუფის მარაგების ნაშთებში 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში 2025 წლის 30 აპრილითა და 2024 წლის 30 აპრილით დასრულებულ წლებში და საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულად ნაკადებში 2025 წლის 30 აპრილითა და 2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წლებისთვის. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დასკვნა გამოგვეტანა იმის თაობაზე, შეიცავდა თუ არა სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტებზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- ▶ ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც ვაყალიბებთ მოსაზრებას კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტების დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე ჩვენი აუდიტების პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანგარიში დამატებითი ინფორმაციის შესახებ

აუდიტები ჩავატარეთ ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ერთეულის, კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის მიზნით. ინფორმაცია კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგების აშშ დოლარში გადაყვანის შესახებ, რომელიც თან ერთვის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებს, რაც გაცხადებულია დამატებითი ფინანსურ ინფორმაციაში — მე-16 შენიშვნაში, წარმოდგენილია დამატებითი ანალიზის მიზნით და სცდება ფასს-ის მოქმედების არეალს. აღნიშნული დამატებითი ფინანსური ინფორმაცია დაექვემდებარა ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩატარებული აუდიტების განმავლობაში გამოყენებულ აუდიტორულ პროცედურებს და, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჯეროვნად არის მომზადებული კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მე-16 შენიშვნაში აღწერილი საფუძვლის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტების ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ როგორც ჩვენი დასკვნის ნაწილში „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღვწერეთ, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირებების შეტანა ჯგუფის მარაგების ნაშთებში 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში 2025 წლის 30 აპრილითა და 2024 წლის 30 აპრილით დასრულებულ წლებში და საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულად ნაკადებში 2025 წლის 30 აპრილითა და 2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წლებისთვის. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დასკვნა გამოგვეტანა იმის თაობაზე, შეიცავდა თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2025 წლის 15 აგვისტო

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგება

30 აპრილით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2025	2024
ამონაგები მასპინძლობის მომსახურებიდან	5	15,014	12,187
მასპინძლობის მომსახურების თვითღირებულება	6	(7,428)	(6,960)
საერთო მოგება მასპინძლობის მომსახურებიდან		7,586	5,227
დასაქმებულთა გასამრჯელოების ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,639)	(1,413)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,638)	(1,619)
წმინდა ზარალი უძრავი ქონებისა და სხვა აქტივების გასვლის შედეგად		–	(14)
საოპერაციო შემოსავალი		4,309	2,181
ფინანსური შემოსავალი	12	103	116
ფინანსური ხარჯი	12	(1,121)	(1,032)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(371)	(1,073)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		2,920	192
მოგების გადასახადის ხარჯი	7	–	–
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		2,920	192

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ:

დირექტორი

გივი კობერიძე

2025 წლის 15 აგვისტო

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგება

30 აპრილით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2025	2024
ამონაგები მასპინძლობის მომსახურებიდან	5	15,014	12,187
მასპინძლობის მომსახურების თვითღირებულება	6	(7,428)	(6,960)
საერთო მოგება მასპინძლობის მომსახურებიდან		7,586	5,227
დასაქმებულთა გასამრჯელოების ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,639)	(1,413)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,638)	(1,619)
წმინდა ზარალი უძრავი ქონებისა და სხვა აქტივების გასვლის შედეგად		—	(14)
საოპერაციო შემოსავალი		4,309	2,181
ფინანსური შემოსავალი	12	103	116
ფინანსური ხარჯი	12	(1,121)	(1,032)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(371)	(1,073)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		2,920	192
მოგების გადასახადის ხარჯი	7	—	—
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		2,920	192

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ:

დირექტორი

2025 წლის 15 აგვისტო

გივი კობერიძე



კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

30 აპრილის მდგომარეობით

(ათას ლარში)

		2025 წლის შენიშვნები 30 აპრილი	2024 წლის 30 აპრილი	2023 წლის 1 მაისი
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	28,999	30,384	31,859
		28,999	30,384	31,859
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	11	530	448	408
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	287	129	144
ავანსები და სხვა აქტივები		236	283	327
გაცემული სესხები	12	–	–	1,945
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	12	–	–	49
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	12	4,603	2,337	435
		5,656	3,197	3,308
სულ აქტივები		34,655	33,581	35,167
საკუთარი კაპიტალი	13			
საწესდებო კაპიტალი		17,242	–	–
სხვა ინვესტირებული კაპიტალი		–	12,679	12,299
დაგროვილი დეფიციტი		(2,329)	–	–
სულ საკუთარი კაპიტალი		14,913	12,679	12,299
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	15,144	15,660	17,507
		15,144	15,660	17,507
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი ნაწილი	12	3,811	4,103	4,224
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	342	749	775
მიღებული ავანსები		58	68	119
სხვა ვალდებულებები		387	322	243
		4,598	5,242	5,361
სულ ვალდებულებები		19,742	20,902	22,868
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		34,655	33,581	35,167

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
30 აპრილით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	სხვა ინვესტი- რებული კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ ინვესტი- რებული კაპიტალი
2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით	–	12,299	–	12,299
წლის წმინდა მოგება	–	192	–	192
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	192	–	192
მშობელი საწარმოსგან მიღებული შენატანები კაპიტალში (მე–13 შენიშვნა)	–	2,654	–	2,654
მშობელ საწარმოზე გაცემული შენატანები კაპიტალში (მე–13 შენიშვნა)	–	(1,000)	–	(1,000)
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ ვალდებულებების პატიება (მე–13 შენიშვნა)	–	473	–	473
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებზე გაცემული სესხების პატიება (მე–13 შენიშვნა)	–	(1,939)	–	(1,939)
2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით	–	12,679	–	12,679
წლის წმინდა მოგება	–	–	2,920	2,920
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	2,920	2,920
მშობელი საწარმოსგან მიღებული შენატანები კაპიტალში (მე–13 შენიშვნა)	–	355	–	355
მშობელ საწარმოზე გაცემული შენატანები კაპიტალში (მე–13 შენიშვნა)	–	(6,053)	–	(6,053)
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ ვალდებულებების პატიება (მე–13 შენიშვნა)	–	639	–	639
მშობელი საწარმოს დაფუძნება (მე–13 შენიშვნა)	4,373	(7,620)	7,620	4,373
მშობელი საწარმოსგან აქტივებისა და ვალდებულებების შეტანა (მე–13 შენიშვნა)	12,869	–	(12,869)	–
2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით	17,242	–	(2,329)	14,913

5–26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

30 აპრილით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2025 წლის 30 აპრილი	2024 წლის 30 აპრილი
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		2,920	192
ცვეთა	9	1,624	1,491
ფინანსური შემოსავალი	12	(103)	(116)
ფინანსური ხარჯი	12	1,121	1,032
წმინდა ზარალი უძრავი ქონებისა და სხვა აქტივების გასვლის შედეგად		–	14
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი		371	1,073
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		5,933	3,686
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
მარაგების ზრდა		(82)	(40)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(158)	15
გადახდილი ავანსებისა და სხვა აქტივების შემცირება		47	44
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		330	(26)
მიღებული ავანსების შემცირება		(10)	(51)
სხვა ვალდებულებების ზრდა		65	79
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		6,125	3,707
საინვესტიციო საქმიანობა			
ვადიან ანაზღაურებზე მიღებული პროცენტი		103	72
გადატანა შეზღუდული წვდომის დეპოზიტებიდან		–	49
ძირითად საშუალებებზე გაწეული კაპიტალური დანახარჯები		(178)	–
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		–	13
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული) მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(75)	134
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ნასესხები სახსრების დაფარვა	12	(1,788)	(1,630)
მიღებული სესხები	12	200	–
გადახდილი პროცენტი	12	(1,794)	(1,995)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	13	4,373	–
მშობელი საწარმოსგან მიღებული შენატანები კაპიტალში	13	355	2,654
მშობელ საწარმოზე კაპიტალის განაწილების გადახდები	13	(5,423)	(1,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,077)	(1,971)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		293	32
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		2,266	1,902
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 მაისის მდგომარეობით		2,337	435
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 30 აპრილის მდგომარეობით	12	4,603	2,337

5–26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „გუდაური ლოჯი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2025 წლის 26 მარტს, რეგისტრაციის ნომრით 405766755. კომპანია არის სს „საქართველოს უძრავი ქონების“ 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმო. 2025 წლისა და 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს საბოლოო მშობელი საწარმო იყო ინგლისში, ლონდონში, დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“. კომპანიის იურიდიული მისამართია: გივი კარტოზიას ქ. 10, 0177, თბილისი, საქართველო.

2025 წლის მარტში კომპანიამ მიიღო საქართველოში, გუდაურში მდებარე სასტუმროს ობიექტი (რომელიც მოქმედებს სავაჭრო სახელწოდებით „გუდაური ლოჯი“), როგორც კაპიტალის შენატანი თავისი მშობელი საწარმოსგან - სს „საქართველოს უძრავი ქონებისგან“. 2023 წლის 1 მაისიდან 2024 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში სასტუმროს ობიექტის იურიდიული მფლობელი იყო სს „გუდაური ლოჯი“ (რეგისტრაციის ნომრით 402084221), შპს „საქართველოს უძრავი ქონების მართვის ჯგუფის“ (რომელიც სს „საქართველოს უძრავი ქონების“ 100%-იან საკუთრებაშია) შვილობილი საწარმო. 2024 წლის 30 დეკემბერს შპს „გუდაური ლოჯი“ (402084221) იურიდიულად შეერწყა შპს „საქართველოს უძრავი ქონების მართვის ჯგუფს“. შემდგომში, 2025 წლის მარტში, კომპანიამ შეიძინა ინვესტიცია სასტუმროების ოპერატორ კომპანიაში-შპს „ჯორჯია ჰოსპიტალიტი მენეჯმენტ გრუპ გუდაურში“ (ასევე საბოლოო მშობელი საწარმოს-საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო). სასტუმროს ობიექტის გადაცემა კომპანიაზე და სასტუმროს ოპერატორი კომპანიის შემენა დასრულდა 2025 წლის 30 აპრილს. გარდა ამისა, ამ ოპერაციების ფარგლებში, კომპანიას ასევე გადაეცა შპს „საქართველოს უძრავი ქონების მართვის ჯგუფის“ სხვა აქტივები და ვალდებულებები, როგორიცაა სესხები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და საგადასახადო ვალდებულებები.

კომპანია და მისი 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმო შპს „ჯორჯია ჰოსპიტალიტი მენეჯმენტ გრუპ გუდაური“ და (2024 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში) შპს „გუდაური ლოჯი“ (რეგისტრაციის ნომრით 402084221) ერთობლივად იწოდებიან ჯგუფად.

კომპანიას განზრახული აქვს შიდა ობლიგაციების გამოშვება, რომლებიც დარეგისტრირდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე 2025 წლის მეორე ნახევარში.

პერსპექტიული ობლიგაციის მფლობელებისა და კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი ორგანოების მოლოდინების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ მოამზადა შპს „გუდაური ლოჯის“ ეს კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობითა და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების - ფასს-ის შესაბამისად.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ცალკე გამოყოფის საფუძველი

ეს კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსურ ანგარიშგება მომზადებულია ისე, თითქოს ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს სასტუმრო „გუდაური ლოჯის“ ბიზნესს, რომლის საბოლოო მფლობელია საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“ (რაც აღწერილია 1-ელ შენიშვნაში), დაფუძნდა 2023 წლის 1 მაისს.

ეს კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული შემდეგი საწარმოების აქტივების, ვალდებულებებისა და ოპერაციების შედეგების გაერთიანებით (შეფასებულია მათი საერთო მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ღირებულებებით):

- 1) კომპანია თავისი დაფუძნების თარიღიდან (2025 წლის 26 მარტი) 2025 წლის 30 აპრილამდე პერიოდისთვის
- 2) კომპანიის შვილობილი საწარმოები:
 - ა. შპს „ჯორჯია ჰოსპიტალიტი მენეჯმენტ გრუპ გუდაური“ მთელი პერიოდისთვის წარმოდგენილი ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში (2023 წლის 1 მაისიდან 2025 წლის 30 აპრილამდე)
 - ბ. შპს „გუდაური ლოჯი“ (რეგისტრაციის ნომრით 4020842421) 2023 წლის 1 მაისიდან 2024 წლის 30 დეკემბრამდე, შპს „საქართველოს უძრავი ქონების მართვის ჯგუფთან“ იურიდიული შერწყმის თარიღამდე, პერიოდისთვის.
- 3) შპს „საქართველოს უძრავი ქონების მართვის ჯგუფის“ შერჩეული აქტივები, ვალდებულებები და შემოსავალი და ხარჯები, რომლებიც არის სასტუმრო „გუდაური ლოჯის“ ქონება და მასთან დაკავშირებული ქონების გადასახადის ხარჯები და ვალდებულებები, ასევე კომერციული ბანკისგან ნასესხები სახსრები და მასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯები და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი 2024 წლის 30 დეკემბრიდან (შპს „გუდაური ლოჯის“ (რეგისტრაციის ნომრით 4020842421) შერწყმის თარიღი) 2025 წლის 30 აპრილამდე პერიოდისთვის.

შესაბამისი კომპანიის შიდა ელიმინირებების შესწორებები მოხდა ამ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. კომპანიის დაფუძნების თარიღამდე სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის თავის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც „ინვესტირებული კაპიტალი“.

ეს კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებები არის ჯგუფის მიერ ფასს–ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების პირველი სრული კომპლექტი. ფასს–ის მიხედვით თავისი ფინანსური ანგარიშგებების პირველი სრული კომპლექტის მომზადებისას ჯგუფმა, ფასს–ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ მიხედვით, არჩია თავისი ძირითადი საშუალებების პირობითი ღირებულების განსაზღვრა მათი სამართლიანი ღირებულებებით 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით.

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობიდან, საოპერაციო შედეგებიდან და მისი აქტივების ღირებულებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არც განზრახვა და არც საჭიროება აქვს იმისა, რომ მოახდინოს თავისი ოპერაციების ლიკვიდაცია ან შეამციროს მათი მასშტაბი. შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი კვლავაც იქნება ფუნქციონირებადი საწარმო ამ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სამუშაო, წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის გადაყვანა

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა. კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტა ქართული ლარია.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაყვანა ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო

ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

სხვაობა გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) სავალუტო კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია საკურსო სხვაობით განპირობებულ წმინდა შემოსულობაში/(ზარალში). სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2025 წლის 30 აპრილის, 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.7516 ლარი, 2.6834 ლარი და 2.4967 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (თუ მას შეეხო) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში: კონვერტაციის შეუძლებლობა – (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება – (ფასს (IFRS) 9-ისა და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები) (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ხელშეკრულებები – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (ფასს (IFRS) 1, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 9, ფასს (IFRS) 10, ბასს (IAS) 7) (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან);

ცვლილებები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- ▶ ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან).

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრული საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად.

გარდა ამისა, ბასს 7–ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგებიდან ან ზარალიდან“ „საოპერაციო მოგებაზე ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

ჯგუფი ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე და კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

- ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“ – (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან).

იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს განზრახული აქვს გამოუშვას საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული სავალო ფასიანი ქაღალდები, იგი არ მოელის, რომ მასზე გავრცელდება ფასს 19–ის მოქმედება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მასპინძლობის მომსახურებიდან

ამონაგები მასპინძლობის მომსახურებიდან ძირითადად მოიცავს სასტუმრო ობიექტების ოპერირებიდან მიღებულ შემოსავალს. მასში შედის ოთახების გაქირავებიდან, საკვები და სასმელი პროდუქტების გაყიდვიდან, სტუმრებისთვის შეთავაზებული სპა და სხვა მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებს.

ოთახების გაქირავებიდან ამონაგების აღიარება ხდება სტუმრის დარჩენის პერიოდის განმავლობაში. საკვები და სასმელი პროდუქტებიდან ამონაგების აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც მოხდა საქონლისა და მომსახურების მიწოდება. სპა მომსახურებიდან ამონაგების აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როცა გაიწევა მომსახურება.

მასპინძლობის მომსახურებიდან ყოველგვარი ამონაგების შეფასება ხდება ხელშეკრულებით შეთანხმებულ გარიგების ფასად, რომელსაც აკლდება ფასდაკლებები, დღგ და სხვა მოქმედი გადასახადები. როდესაც ხდება საავანსო გადახდების მიღება (მაგ. ოთახების დაჯავშნის დროს), ეს თანხები თავდაპირველად აღირიცხება, როგორც მიღებული ავანსები და აღიარდება, როგორც ამონაგები, როდესაც გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება ოთახის დაჯავშნის მომენტში მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსებს, კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც მიღებული ავანსები.

ფინანსური შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე ფინანსური შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-7 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის ვალდებულება აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული ოპერაციები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი ოპერაციების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგების ან ზარალის სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში აისახება, როგორც საოპერაციო გადასახადები.

ძირითადი საშუალებები

ამ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, ძირითადი საშუალებების აღიარება თავდაპირველად ხდება პირობითი ღირებულებით, რომელიც უდრის მის სამართლიან ღირებულებას 2023 წლის 1 მაისისთვის, დამოუკიდებელი შეფასებების მიხედვით. საწყისი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ყოველგვარი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ცვეთა სისტემატურად ერიცხება შესაბამისი აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების შემდეგი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	წლები
შენობები	35
ავეჯი და მოწყობილობები	5–15
სატრანსპორტო საშუალებები	15
სასტუმროს სხვა აღჭურვილობა	10

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

მარაგები

მარაგები მოიცავს საკვებ და სასმელ ერთეულებს, სამეურნეო და სტუმრებისთვის განკუთვნილ მარაგებს და სხვა საოპერაციო მოხმარების საგნებს, რომელთა ფლობის მიზანიც არის სასტუმროს ჩვეულ ოპერაციებში გამოყენება. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ჯგუფი იყენებს საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდს, როგორც თავისი მარაგების შეფასების საფუძველს.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები (გაგრძელება)

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეული საქმიანობის პროცესში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. იმ მოხმარების საგნების შემთხვევაში, რომლებიც არ არის განკუთვნილი გასაყიდად, ნეტო სარეალიზაციო ღირებულება ეყრდნობა ჩანაცვლების ღირებულებას, სადაც ეს მიზანშეწონილია.

მარაგების მოძველება ან გაფუჭება რეგულარულად მოწმდება. ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ნებისმიერი ჩამოწერა ან მარაგების დაკარგვა აღიარდება, როგორც ხარჯი ჩამოწერის ან დაკარგვის დადგომის პერიოდში. წინა ჩამოწერების გაუქმება აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული გაუქმება.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი. გარე ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია საწესდებო კაპიტალში ცვლილებებისადმი, გარდა საწარმოთა გაერთიანებისა, წარმოდგენილია, როგორც საკუთარ კაპიტალში შემოსულობიდან გამოქვითვა.

სხვა ინვესტირებული კაპიტალი

2025 წლის 26 მარტს კომპანიის იურიდიულ დაფუძნებამდე პერიოდებისთვის, სხვაობა ჯგუფის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის წარმოდგენილია, როგორც სხვა ინვესტირებული კაპიტალი. სხვა ინვესტირებული კაპიტალის ცვლილების დინამიკა მოიცავს ცვლილებებს, რომლებიც უკავშირდება კომპანიის მიერ 2025 წელს თავისი მშობელი საწარმოსგან შვილობილ საწარმოში — „შპს ჯორჯია ჰოსპიტალიტი მენეჯმენტ გრუპ გუდაური“ განხორციელებული ინვესტიციის იურიდიულ შეძენას, კაპიტალში შენატანებს მშობელი საწარმოსგან და განაწილებებს მშობელ საწარმოზე შვილობილი საწარმოების მიერ, რომლებიც კონსოლიდირებულია ამ ცალკე გამოყოფილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში (როგორიცაა საწესდებო კაპიტალის ზრდა ან შემცირება იმდენად, რომ ის არ ელიმინირდება კონსოლიდირებისას). კომპანიის დაფუძნებისას სხვა ინვესტირებული კაპიტალი რეკლასიფიცირდა საწესდებო კაპიტალში და გაუნაწილებელ მოგებაში.

აქციონერთან სავალო ვალდებულებების გაცვლა წილობრივ ინსტრუმენტებზე და სესხის პატიება

როდესაც ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები გარდაიქმნება საკუთარ კაპიტალად სავალო ვალდებულებების წილობრივ ინსტრუმენტებზე გაცვლის ოპერაციით მშობელ საწარმოსთან ან საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან, ჯგუფი შედეგად გამოშვებულ წილობრივ ინსტრუმენტებს აღრიცხავს დაფარული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებით ისე, რომ არ მოხდეს მოგების ან ზარალის აღიარება. ანალოგიურად, როდესაც ჯგუფი პატიობს მშობელი საწარმოსგან ან საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მისაღებ ფინანსურ აქტივებს, ნაპატიები აქტივების საბალანსო ღირებულება აღირიცხება, როგორც კაპიტალის განაწილება კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით

საოპერაციო გადაწყვეტილებების მთავარი მიმღები აფასებს მთლიან ჯგუფს, როგორც ერთიან საოპერაციო სეგმენტს — „გუდაური ლოჯის“ სასტუმროს ბიზნესს. ჯგუფის ყველა აქტივი და ვალდებულება თავმოყრილია საქართველოში და გარე მომხმარებლებისგან ამონაგები მიიღება საქართველოში მიმდინარე ოპერაციებიდან. სეგმენტების მაჩვენებლები (როგორიცაა ამონაგები, საოპერაციო შემოსავალი და წმინდა მოგება) ფასდება იმავე წესით, როგორითაც კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგება. 2025 წლის ან 2024 წლის 30 აპრილით დასრულებულ წლებში ერთ გარეშე მომხმარებელთან ან კონტრაქტთან დადებული გარიგებიდან მიღებული ამონაგები ჯგუფის მთლიანი ამონაგების 10%-ზე ნაკლებს შეადგენდა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო თარიღით. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ცალკე გამოყოფის საფუძველი

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებების წინამდებარე პირველი სრული კომპლექტის მომზადებისას მნიშვნელოვანი განსჯა იქნა გამოყენებული ცალკე გამოყოფის საფუძვლის განსაზღვრისთვის. იხილეთ მე-2 შენიშვნა.

ძირითადი საშუალებების პირობითი ღირებულება

ძირითადი საშუალებები, მათ შორის სასტუმროს ობიექტი თავდაპირველად აღიარდა პირობითი ღირებულებით, რომელიც გაუტოლდა მის სამართლიან ღირებულებას 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, მთლიანობაში სასტუმროს დამოუკიდებელი შეფასებების (შემოსავლის მეთოდის გამოყენებით) საფუძველზე. მთლიანობაში სასტუმროს ობიექტის სამართლიანი ღირებულება შემდეგ დეზაგრეგირდა ძირითადი საშუალებების ინდივიდუალურ კომპონენტებად (როგორიცაა მიწა, შენობა, შენობის კომპონენტები, ავეჯი და აღჭურვილობა) გონივრულ და რაციონალურ საფუძველზე. მნიშვნელოვანი განსჯა იქნა გამოყენებული სასტუმროს ობიექტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში, შემოსავლის მეთოდის გამოყენებით (რაც შეუზღუდავად მოიცავს დაშვებების შერჩევას დისკონტირების განაკვეთის, ნომრის საშუალო ღირებულებისა და შენობის დატვირთვის მაჩვენებლის შესახებ) და მის შემდგომ განაწილებაში ძირითადი საშუალებების ინდივიდუალურ კომპონენტებად. იხილეთ მე-9 შენიშვნა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების კორექტირება. იხილეთ მე-3 შენიშვნა.

5. ამონაგები მასპინძლობის მომსახურებიდან

	2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი	2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი
ამონაგები მასპინძლობის მომსახურებიდან		
ოთახები	9,328	7,205
საკვები და სასმელი პროდუქტები	4,299	3,743
სპას მომსახურება	643	561
კონცეპტუალური მაღაზია	105	56
სხვა ამონაგები	639	622
სულ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	15,014	12,187

6. მასპინძლობის მომსახურების თვითღირებულება

	2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი	2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი
საკვები და სასმელი პროდუქტების თვითღირებულება	1,016	947
სპას ინვენტარის თვითღირებულება	7	8
კონცეპტუალური მაღაზიის მარაგების თვითღირებულება	52	31
სულ მარაგების თვითღირებულება, რომელიც ასახულია გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში	1,075	986
სასტუმროს ოთახების მიმართულების სახელფასო უწყისი	757	656
საკვები და სასმელი პროდუქტების მიმართულების სახელფასო უწყისი	1,522	1,324
სპას მიმართულების სახელფასო უწყისი	223	198
სულ სახელფასო დანახარჯები, რომლებიც ასახულია გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში	2,502	2,178
სასტუმროს ოთახების სხვა ხარჯები	1,186	1,239
საკვები და სასმელი პროდუქტების სხვა ხარჯები	200	183
სპას სხვა ხარჯები	46	45
კონცეპტუალური მაღაზიის სხვა ხარჯები	–	–
სხვა ხარჯები	541	534
სხვა ხარჯები, სულ	1,973	2,001
ქონების გადასახადი	261	312
ცვეთა	1,617	1,483
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	7,428	6,960

7. მოგების გადასახადი

საქართველოში იურიდიულმა პირებმა ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციები უნდა წარადგინონ. 2025 წლის 30 აპრილისა და 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენდა გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-ს – განაწილებულ მოგებაზე. 2025 წლისა და 2024 წლის 30 აპრილით დასრულებულ წლებში ჯგუფს არ გაუნაწილებია დივიდენდები და, შესაბამისად, არ უღიარებია რამე მოგების გადასახადის ხარჯი.

8. ადმინისტრაციული სახელფასო და დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი

	2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი	2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი
ადმინისტრაციული და ზოგადი დასაქმებულების სახელფასო უწყისი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო სისტემებში დასაქმებულთა სახელფასო უწყისი	1,156	997
გაყიდვებსა და მარკეტინგში დასაქმებულთა სახელფასო უწყისი	53	40
ქონების ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაში დასაქმებულთა სახელფასო უწყისი	205	191
	225	185
სულ ადმინისტრაციულ დასაქმებულთა გასამრჯელოები	1,639	1,413

ჯგუფის მიერ გაწეული დასაქმებულთა გასამრჯელოების მთლიანი ხარჯი ასე იყო წარმოდგენილი:

	2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი	2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი
მასპინძლობის მომსახურების თვითღირებულება	2,502	2,178
ადმინისტრაციული სახელფასო და დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	1,639	1,413
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი, სულ	4,141	3,591

9. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	ავიჯი და მოწყობი- ლობები	ელექტრო- გაყვანილობა, გათბობა, ვენტილაცია და კონდიციონერება (HVAC) და სახანძრო უსაფრთხოება	მიწა	სატრანსპორტო საშუალებები	ლიფტები	სულ
მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება							
2023 წლის 1 მაისი	19,186	6,798	3,327	2,087	129	332	31,859
შემოსვლები	-	43	-	-	-	-	43
გასვლები	-	-	-	-	(29)	-	(29)
2024 წლის 30 აპრილი	19,186	6,841	3,327	2,087	100	332	31,873
შემოსვლები	162	77	-	-	-	-	239
2025 წლის 30 აპრილი	19,348	6,918	3,327	2,087	100	332	32,112
დაგროვილი ცვეთა							
2023 წლის 1 მაისი	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	549	690	222	-	8	22	1,491
გასვლები	-	-	-	-	(2)	-	(2)
2024 წლის 30 აპრილი	549	690	222	-	6	22	1,489
ცვეთის ხარჯი	567	787	239	-	7	24	1,624
2025 წლის 30 აპრილი	1,116	1,477	461	-	13	46	3,113
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2023 წლის 1 მაისი	19,186	6,798	3,327	2,087	129	332	31,859
2024 წლის 30 აპრილი	18,637	6,151	3,105	2,087	94	310	30,384
2025 წლის 30 აპრილი	18,232	5,441	2,866	2,087	87	286	28,999

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფის მიერ გაწეული ცვეთის მთლიანი ხარჯი ასე იყო წარმოდგენილი:

	2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი	2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი
მასშინძლობის მომსახურების თვითღირებულება	1,617	1,483
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	8
სულ ცვეთის ხარჯი	1,624	1,491

2025 წლის 30 აპრილის, 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, სასტუმროს ობიექტი, 28,806 ლარის საბალანსო ღირებულებით (2024 წ.: 30,235 ლარი; 2023 წ.: 31,708 ლარი) დაგირავდა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად (მე-12 შენიშვნა).

10. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი	2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი
კომუნალური მომსახურება	727	702
საბანკო მომსახურება	231	191
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	179	129
ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება	124	109
ტრანსპორტირება	68	85
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	66	69
საიჯარო ხარჯი	64	70
მარკეტინგი და რეკლამა	62	55
დაზღვევა	55	57
წარმომადგენლობითი ხარჯები	11	15
ცვეთა	7	8
კომუნიკაციები	1	3
სხვა ხარჯები	43	126
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	1,638	1,619

აუდიტორის გასამრჯელო

ფასს-ის მიხედვით 2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებების პირველი კომპლექტის აუდიტისთვის ჯგუფის აუდიტორისთვის გადახდილი საზღაური შეადგენდა 125 ათას ლარს (დღგ-ის გარეშე). არააუდიტორული მომსახურება ჯგუფის აუდიტორს ჯგუფისთვის არ გაუწევია.

11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საბალანსო ღირებულება ასეთი იყო:

	2025 წლის 30 აპრილი	2024 წლის 30 აპრილი	2023 წლის 1 მაისი
საკვები და სასმელი პროდუქტები	303	284	248
სარეცხი და საწმენდი საშუალებები	44	61	33
ერთჯერადი მოხმარების მასალები	25	32	27
სტუმრებისთვის განკუთვნილი მარაგები	14	21	11
ტექნიკური მომსახურების ერთეულები	10	4	8
დაბალი ღირებულების მქონე მარაგები	80	4	33
სხვა	54	42	48
თვითღირებულებით აღრიცხული მთლიანი მარაგები	530	448	408

12. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ვადიანი ანაზღაურებები საკრედიტო დაწესებულებებში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს შემდეგს:

	2025 წლის 30 აპრილი	2024 წლის 30 აპრილი	2023 წლის 1 მაისი
ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში	4,599	2,334	433
ნაღდი ფული	4	3	2
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	4,603	2,337	435

2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნები მოიცავდა შეზღუდული წვდომის დეპოზიტებს ნული ლარის ოდენობით (2024 წლის 30 აპრილი: ნული ლარი; 2023 წლის 1 მაისი: 49 ლარი). შეზღუდული წვდომის დეპოზიტები უკავშირდება საბანკო სესხის დაფარვას. ბანკმა დროებით დაბლოკა ფულადი სახსრები სესხის ძირითადი თანხის გადახდამდე. მომდევნო თვეში, როდესაც განხორციელდება გადახდა, შეზღუდული წვდომის დეპოზიტებს შეზღუდვა მოეხსნება. საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებულ ვადიან ანაზღაურებზე ბოლო ფინანსური პერიოდის განმავლობაში მიღებულმა პროცენტმა შეადგინა 103 ლარი (2024 წ.: 73 ლარი).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 287 ლარის ოდენობით (2024 წლის 30 აპრილი: 129 ლარი, 2023 წლის 1 მაისი: 144 ლარი) უკავშირდება მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, უნდა დაიფაროს საანგარიშგებო თარიღიდან 90 დღეში და ძირითადად გამოხატულია ლარში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდა არაარსებითად 2025 წლის 30 აპრილის, 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით.

გაცემული სესხები

2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, მიმდინარე გაცემული სესხები, 1,945 ლარის ოდენობით, შეფასდა ამორტიზებული ღირებულებით და გამოხატული იყო ლარში. სესხი გაიცა დაკავშირებულ მხარეებზე (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები), რათა დაეფინანსებინათ სასტუმროს ფუნქციონირების ხარჯები. 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ იყო არსებითი. 2024 წლის 30 აპრილით დასრულებულ წელს ჯგუფმა მოახდინა სესხის პატიება და აღრიცხა 1,939 ლარი (რომელიც არის პატიების თარიღისთვის სესხის საბალანსო ღირებულება) თავის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში 2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წლისთვის, რაც წარმოადგენს არსებით არაფულად ოპერაციას.

გაცემულ სესხებზე მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა 2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წლისთვის ნული ლარი შეადგინა (2024 წლის 30 აპრილი: 43 ლარი).

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა (გაგრძელება)

მიღებული სესხები

	ვალუტა	ვადა	2025 წლის 30 აპრილი	2024 წლის 30 აპრილი	2023 წლის 1 მაისი
ადგილობრივი ბანკებისგან ნასესხები სახსრები	ევრო	ივნ.-2033	18,955	19,763	21,311
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	აშშ				
საწარმოებისგან ნასესხები სახსრები	დოლარი	თებ.-2024	–	–	140
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული					
საწარმოებისგან ნასესხები სახსრები	ლარი	თებ.-2024	–	–	280
ნასესხები სახსრები, სულ			18,955	19,763	21,731
მოკლევადიანი ნაწილი			3,811	4,103	4,224
გრძელვადიანი ნაწილი			15,144	15,660	17,507

2025 წლის 30 აპრილის, 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, სასტუმროს ობიექტი, 28,806 ლარის საბალანსო ღირებულებით (2024 წ.: 30,235 ლარი, 2023 წ.: 31,708 ლარი) დაგირავდა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად (მე-9 შენიშვნა).

ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები გრძელვადიანი სესხები, 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით 18,955 ლარის საბალანსო ღირებულებით, ექვემდებარება პირობებს, რომლებიც ახლავს კომპანიის გარკვეულ ფინანსურ მაჩვენებლებს (როგორიცაა სესხის მომსახურების კოეფიციენტი) სესხების დაფარვის ვადის განმავლობაში. ამ პირობების ტესტირება ხდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოსთვის ამ სესხების დაფარვის ვადის ამოწურვამდე. ფინანსური პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკს უფლება ექნება დაუყოვნებლივ მოითხოვოს სესხებისა და ნასესხები სახსრების დაფარვა. მართალია, მიმდინარე პერიოდში ამ ნასესხები სახსრების ფინანსური პირობები დაირღვა, ჯგუფმა მოიპოვა მოთხოვნის უფლების დათმობის წერილები ფინანსური დაწესებულებებისგან, რომლებშიც ნათქვამია, რომ ფინანსური პირობების დარღვევის მიუხედავად, ფინანსური დაწესებულებები არ მოითხოვენ ჯგუფისგან ნასესხები სახსრების დაჩქარებული წესით დაფარვას. მართალია, არსებობს ასეთი დარღვევების მომავალში განმეორების რისკი, ჯგუფი მოელის ამ ნასესხები სახსრების რეფინანსირებას ადგილობრივი ობლიგაციების გამოშვებიდან შემოსულობით, ამ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ან, თუ რეფინანსირება არ მოხდება, ჯგუფი მოელის, რომ შეძლებს პირობების დაკმაყოფილებას, ნასესხები სახსრების რესტრუქტურირაციას ან მოთხოვნის უფლების დათმობის დამატებითი წერილების მოპოვებას.

ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

	2024 წლის 1 მაისი	ფულადი სახსრების შემოდი- ნება	ფულადი სახსრების გადინება	სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	პროცენტის დარიცხვა პროცენტის	ვალის პატიება (მე-13 შენიშვნა)	2025 წლის 30 აპრილი
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	19,763	200	(3,582)	1,653	1,121	(200)	18,955
სულ	19,763	200	(3,582)	1,653	1,121	(200)	18,955
	2023 წლის 1 მაისი	ფულადი სახსრების შემოდი- ნება	ფულადი სახსრების გადინება	სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	პროცენტის დარიცხვა	ვალის პატიება (მე-13 შენიშვნა)	2024 წლის 30 აპრილი
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	21,731	–	(3,625)	1,045	1,033	(421)	19,763
სულ	21,731	–	(3,625)	1,045	1,033	(421)	19,763

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა (გაგრძელება)

2025 წლის 30 აპრილით დასრულებულ წელს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულმა საწარმოებმა ჯგუფს აპატიეს მასზე გაცემული 200 ლარის ოდენობის სესხები (2024 წლის 30 აპრილი: 421 ლარი), რომელიც პირდაპირ აღირიცხა კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში (მე-13 შენიშვნა).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად მოიცავს სასტუმროს ოთახების დაჯავშნის მომსახურებასთან და სასტუმროსა და რესტორნის ოპერირებისთვის ინვენტარის მარაგებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ეს ვალდებულებები ძირითადად ლარშია გამოხატული და დასაფარია საანგარიშგებო თარიღიდან 1–3 თვეში.

	2025 წლის 30 აპრილი	2024 წლის 30 აპრილი	2023 წლის 1 მაისი
საოპერაციო მარაგებთან დაკავშირებული ვალდებულებები	193	149	183
სახელშეკრულებო მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები	138	562	567
მარაგებთან დაკავშირებული ვალდებულებები	2	25	3
სხვა ვალდებულებები	9	13	22
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	342	749	775

2025 წლის 30 აპრილით დასრულებულ წელს ჯგუფმა ჩამოწერა 439 ლარის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ პატიების შედეგად, რაც პირდაპირ აღირიცხა კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში (მე-13 შენიშვნა).

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტები ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება.

2025 წლის 30 აპრილისა და 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა ნაღდი ფულისა, ბანკში და სავაჭრო მოთხოვნებისა. გარდა ამისა, 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოიშვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული 1,945 ლარის ოდენობის სესხებიდან. საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა გაუტოლდა 4,890 ლარს 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით (2024 წლის 30 აპრილი: 2,466 ლარი, 2023 წლის 1 მაისი: 2,573 ლარი).

2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, 4,599 ლარი (2024 წ.: 2,334 ლარი; 2023 წ.: 433 ლარი) იყო განთავსებული ადგილობრივ კომერციულ ბანკებში, რომლებსაც მინიჭებული აქვთ „Ba2“ (LC) რეიტინგი Moody's-სგან და „BB/BB–“ რეიტინგი Fitch Ratings-ისგან. დარჩენილი ნული ლარი (2024 წ.: ნული ლარი; 2023 წ.: ნული ლარი) განთავსებული იყო ადგილობრივ კომერციულ ბანკში, რომელსაც საკრედიტო რეიტინგი არ აქვს მინიჭებული. შესაბამის საბანკო ანგარიშებს ერიცხება 11%, რომელიც გამოითვლება დღიური დაუფარავი ნაშთის მიხედვით.

გაცემულ სესხებსა და სავაჭრო მოთხოვნებს არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემა და ისინი ფასდებიან ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის საფუძველზე. 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით გაცემული სესხი არ იყო ვადაგადაცილებული. 2025 წლის 30 აპრილის, 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების არსებითი ნაშთი არ იყო ვადაგადაცილებული. 2025 წლის 30 აპრილის, 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, ბანკებში განთავსებული ნაშთებისა და გაცემული სესხების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმის რისკს, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ჯგუფის ლიკვიდობის რისკს აანალიზებს და მართავს ჯგუფის ხელმძღვანელობა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით:

ფინანსური ვალდებულებები 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	698	3,113	12,892	9,449	26,152
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	342	–	–	–	342
სულ	1,040	3,113	12,892	9,449	26,494
ფინანსური ვალდებულებები 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	1,073	3,030	12,782	11,790	28,675
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	749	–	–	–	749
სულ	1,822	3,030	12,782	11,790	29,424
ფინანსური ვალდებულებები 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	1,021	3,203	11,763	13,418	29,405
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	775	–	–	–	775
სულ	1,796	3,203	11,763	13,418	30,180

ლიკვიდობის რისკის მართვისას ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი შეძლებს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვას, ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრების გამოყენებით, ვადამოსული ვალდებულებების რეფინანსირებით ან რესტრუქტურისაციით და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური პირობების გადახედვით, ასევე მშობელი საწარმოსგან დაფინანსების მოპოვებით.

სავალუტო რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის სავალუტო კურსის მერყეობის რისკის მოცულობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

	2025 წლის 30 აპრილი			2024 წლის 30 აპრილი			2023 წლის 1 მაისი		
	ფულადი	ფინანს- ური	წმინდა საბა- ლანსო პოზიცია	ფულადი	ფინანს- ური	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი	ფინანს- ური	წმინდა საბა- ლანსო პოზიცია
აშშ დოლარი	899	(3)	896	843	(1)	842	238	(140)	98
ევრო	–	(18,955)	(18,955)	23	(19,763)	(19,740)	46	(21,311)	(21,265)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ ითვლება არსებითი სავალუტო რისკების გამომწვევად.

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტასთან მიმართებით სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი მოგებასა და ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია:

	2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი
გავლენა მოგებაზე (ზარალზე) და საკუთარ კაპიტალზე	
ევროს გამყარება 19.37%-ით	3,672
ევროს გაუფასურება 7.34%-ით	(1,391)
	2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი
გავლენა მოგებაზე (ზარალზე) და საკუთარ კაპიტალზე	
ევროს გამყარება 20%-ით	3,948
ევროს გაუფასურება 20%-ით	(3,948)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, ჯგუფის ცვალებადი განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები, რომლებიც Euribor-ზეა მიბმული, გაუტოლდა 18,955 ლარს (2024 წლის 30 აპრილი: 19,763 ლარი და 2023 წლის 1 მაისი: 21,311 ლარი). Euribor-ის ზრდა 2.129%-ით 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით და 3.795%-ით 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, შესაბამისად, გამოიწვევდა 251 ლარითა და 639 ლარით მეტი ფინანსური ხარჯის აღიარებას ამავე თარიღებით დასრულებული წლების მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, ხოლო ანალოგიური საპირისპირო ცვლილების დინამიკა გამოიწვევდა ფინანსური ხარჯის ამავე ოდენობით შემცირებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით.

ქვედა ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით. მასში ასევე შესულია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში. ცხრილში არ არის წარმოდგენილი თვითღირებულებით აღრიცხული არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები:

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები (გაგრძელება)

				სულ სამართლიანი ღირებულება 2025 წლის 30 აპრილი	საბალანსო ღირებულება 2025 წლის 30 აპრილი	აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი) 2025 წლის 30 აპრილი
	დონე 1	დონე 2	დონე 3			
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	–	287	–	287	287	–
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი მიღებული სესხები	–	–	18,955	18,955	18,955	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	–	342	–	342	342	–
				სულ სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 30 აპრილი	საბალანსო ღირებულება 2024 წლის 30 აპრილი	აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი) 2024 წლის 30 აპრილი
	დონე 1	დონე 2	დონე 3			
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	–	129	–	129	129	–
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი მიღებული სესხები	–	–	19,763	19,763	19,763	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	–	749	–	749	749	–

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები (გაგრძელება)

				სულ სამართლიანი ღირებულება 2023 წლის 1 მაისი	საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 მაისი	აუდიარებელი შემოსულობა (ზარალი) 2023 წლის 1 მაისი
	დონე 1	დონე 2	დონე 3			
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	–	144	–	144	144	–
გაცემული სესხები	–		1,945	1,945	1,945	–
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
მიღებული სესხები	–	–	21,731	21,731	21,731	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	–	775	–	775	775	–

2025 წლისა და 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, ბანკში ნაღდი ფულის ნაშთისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით:

- ▶ აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას – როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ასევე ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს და იმ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნა საანგარიშგებო თარიღთან ახლოს.
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები – ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

13. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის დაფუძნება და ცვლილებები საწესდებო კაპიტალში

კომპანია დაფუძნდა 2025 წლის 26 მარტს. დაფუძნების დროს მშობელმა საწარმომ 4,373 ლარი შეიტანა თავის საწესდებო კაპიტალში ფულადი სახსრების სახით. ამ მომენტში დაგროვილი სხვა ინვესტირებული კაპიტალი, 7,620 ლარის ოდენობით, რეკლასიფიცირდა გაუნაწილებელ მოგებაში (დაგროვილი დეფიციტი).

გარდა ამისა, 2025 წლის აპრილში მშობელმა საწარმომ კომპანიას გადასცა სასტუმროს ობიექტი საწესდებო კაპიტალის 31,824 ლარით გაზრდის სანაცვლოდ და სესხი-საწესდებო კაპიტალის 18,955 ლარით შემცირების სანაცვლოდ. ვინაიდან სასტუმროს ობიექტი და სესხი უკვე აღიარებული იყო ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში შენატანის განხორციელების დროისთვის, ამან განაპირობა 12,869 ლარის რეკლასიფიკაცია საწესდებო კაპიტალსა და გაუნაწილებელ მოგებას შორის (დაგროვილი დეფიციტი), რასაც ჯგუფის წმინდა აქტივებზე გავლენა არ მოუხდენია.

კაპიტალში სხვა შენატანები და განაწილებები

2024 წლის 30 აპრილით დასრულებულ წელს შპს „გუდაური ლოჯმა“ (რეგისტრაციის ნომერი: 4020842421) გაანაწილა აგრეგირებული 1,000 ლარი ფულადი სახით მშობელ საწარმოზე თავისი საწესდებო კაპიტალის შემცირების სანაცვლოდ, რაც აისახა, როგორც სხვა ინვესტირებული კაპიტალის შემცირება.

2024 წლის 30 აპრილით დასრულებულ წელს მშობელმა საწარმომ შპს „გუდაური ლოჯში“ (რეგისტრაციის ნომერი: 4020842421) შეიტანა აგრეგირებული 2,654 ლარი ფულადი სახით თავისი საწესდებო კაპიტალის გაზრდის სანაცვლოდ, რაც აისახა, როგორც სხვა ინვესტირებული კაპიტალის ზრდა.

2024 წლის 30 აპრილით დასრულებულ წელს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულმა საწარმოებმა ჯგუფს აპატიეს 473 ლარის ფინანსური ვალდებულებები (მე-12 შენიშვნა).

2024 წლის 30 აპრილით დასრულებულ წელს ჯგუფმა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს აპატია მასზე გაცემული 1,939 ლარის სესხები (მე-12 შენიშვნა).

2025 წლის 30 აპრილით დასრულებულ წელს მშობელმა საწარმომ შპს „გუდაური ლოჯში“ (რეგისტრაციის ნომერი: 4020842421) შეიტანა აგრეგირებული 355 ლარი ფულადი სახით თავისი საწესდებო კაპიტალის გაზრდის სანაცვლოდ, რაც აისახა, როგორც სხვა ინვესტირებული კაპიტალის ზრდა.

2025 წლის 30 აპრილით დასრულებულ წელს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულმა საწარმოებმა ჯგუფს აპატიეს 639 ლარის ფინანსური ვალდებულებები (მე-12 შენიშვნა).

2025 წლის 30 აპრილით დასრულებულ წელს ჯგუფმა გაანაწილა 6,053 ლარი მშობელ საწარმოზე, რაც აისახა, როგორც სხვა ინვესტირებული კაპიტალის შემცირება. განაწილება მოიცავდა შემდეგს:

- ▶ 2025 წლის მარტში კომპანიამ იურიდიულად შეიძინა ინვესტიცია შვილობილ საწარმოში შპს „ჯორჯია ჰოსპიტალიტი მენეჯმენტ გრუპ გუდაური“ (ასევე საბოლოო მშობელი საწარმოს, საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) თავისი მშობელი საწარმოსგან 4,367 ლარის ფულადი საზღაურის სანაცვლოდ. ვინაიდან შვილობილი საწარმო უკვე კონსოლიდირებული იყო ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში შეძენის მომენტში, შეძენა აისახა, როგორც კაპიტალის განაწილება მშობელ საწარმოზე კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში 2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წლისთვის.
- ▶ 2024 წლის დეკემბერში გუდაური ლოჯი (რეგისტრაციის ნომერი 4020842421) იურიდიულად შეერწყა შპს „საქართველოს უძრავი ქონების მართვის ჯგუფს“ (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო, რომლის 100%-საც ფლობს სს „საქართველოს უძრავი ქონება“). შერწყმის შედეგად კომპანიამ შეწყვიტა გარკვეული აქტივების აღიარება, რომლებიც აღარ იყო მიკუთვნებადი „გუდაური ლოჯის“ ბიზნესოპერაციებისთვის ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც მოიცავდა 1,056 ლარის ფულად სახსრებსა და სხვა აქტივებსა და ვალდებულებებს 630 ლარის წმინდა საბალანსო ღირებულებით.

13. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზანი კაპიტალის მართვისას (რომელსაც იგი განმარტავს, როგორც გაცხადებულ წმინდა აქტივებს თავის ფასს–ის მიხედვით მომზადებულ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში) არის:

- ▶ დაიცვას ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ და სასტუმრო მუდმივად უზრუნველყოფდეს უკუგებას აქციონერებისთვის და მაღალი ხარისხის მომსახურებას სტუმრებისთვის;
- ▶ შეინარჩუნოს სათანადო კაპიტალის სტრუქტურა, რომელიც მხარს უჭერს სასტუმროს ეფექტურ ოპერირებას და მიმდინარე ტექნიკურ–სამეურნეო მომსახურებას.

ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი ყურადღებით აკონტროლებს სასტუმროს ფინანსურ შედეგებს და სიფრთხილით აფასებს ყოველგვარ კაპიტალური დანახარჯების პროექტს, როგორიცაა რემონტი ან განახლება იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება მათი წვლილი საოპერაციო ეფექტურობასა და სტუმრების კმაყოფილებაში.

ჯგუფის კაპიტალის მართვის პოლიტიკაში ცვლილებები არ შესულა 2025 წლის 30 აპრილით და 2024 წლის 30 აპრილით დასრულებულ წლებში.

14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთია:

	2025 წლის 30 აპრილი		
	მშობელი საწარმო ¹	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები ²	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა
ნაშთები 30 აპრილის მდგომარეობით			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	–	1	–
ოპერაციები 30 აპრილით დასრულებული წლისთვის			
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	–	–	350
	2024 წლის 30 აპრილი		
	მშობელი საწარმო ¹	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები ²	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა
ნაშთები 30 აპრილის მდგომარეობით			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	–	494	–
გადახდილი ავანსები	4	4	–
ოპერაციები 30 აპრილით დასრულებული წლისთვის			
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	–	–	253

14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

	2023 წლის 1 მაისი		
	საერთო კონტროლს დაქვემდებარე- მშობელი საწარმო ¹ ბული საწარმოებ ²	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	
ნაშთები 1 მაისის მდგომარეობით			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	–	472	–
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	–	71	–
მიღებული სესხები	–	420	–
გადახდილი ავანსები	4	2	–
გაცემული სესხები (ნული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით)	–	1,945	–

¹ 2025 წლის 30 აპრილისა და 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის მშობელი საწარმო მოიცავს ნაშთებსა და ოპერაციებს სს „საქართველოს უმრავლესობის ქონებასთან“ და სს „საქართველოს კაპიტალთან“.

² საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში შედიან შეზღუდული საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“ შვილობილი საწარმოები, გარდა მშობელი საწარმოს კატეგორიაში შესული საწარმოებისა.

სხვა ოპერაციები მშობელ საწარმოსთან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან 2025 წლის 30 აპრილითა და 2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წლებისთვის მოიცავდა კაპიტალში შენატანებსა და განაწილებებს, მათ შორის ფინანსური ინსტრუმენტების პატიების გზით, რაც აღწერილია მე-12 და მე-13 შენიშვნებში.

ჯგუფს იგივე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელიც მშობელ კომპანიას. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურებაში ჯგუფის წილი აღიარებულია ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში და მოიცავს შემდეგს:

	2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი	2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წელი
ხელფასი	253	218
პრემია ფულადი სახით	98	35
	350	253

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წლის ივნისში კომპანიამ თავის მშობელ საწარმოზე გაანაწილა 2,850 ლარის ფულადი სახსრები საწესდებო კაპიტალის შემცირების სანაცვლოდ.

2025 წლის ივლისში კომპანიამ თავის მშობელ საწარმოზე გაანაწილა 995 ლარის ფულადი სახსრები საწესდებო კაპიტალის შემცირების სანაცვლოდ.

16. დამატებითი ფინანსური ინფორმაცია-კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა აშშ დოლარში

დამატებითი ანალიზის მიზნებისთვის, რომელიც არ შედის ფასს-ის მოქმედების არეალში, ჯგუფმა ქვემოთ წარმოადგინა კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგება 2025 წლის 30 აპრილითა და 2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წლებისთვის და კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 30 აპრილის, 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, გადაყვანილი აშშ დოლარში შემდეგი სავალუტო კურსების გამოყენებით.

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგება

კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ოპერაციები გადაყვანილია საანგარიშგებო პერიოდის საშუალო სავალუტო კურსის გამოყენებით, რაც არის 2.7623 ლარი / 1 აშშ დოლარი 2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წლისთვის და 2.6491 ლარი / 1 აშშ დოლარი 2024 წლის 30 აპრილით დასრულებული წლისთვის.

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებები

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლები გადაყვანილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი სავალუტო კურსით, რომელიც არის 2.7516 ლარი / 1 აშშ დოლარი, 2.6835 ლარი / 1 აშშ დოლარი და 2.4967 ლარი / 1 აშშ დოლარი, შესაბამისად, 2025 წლის 30 აპრილის, 2024 წლის 30 აპრილისა და 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლების სხვადასხვა სავალუტო კურსებით გადაყვანით განპირობებული საკურსო სხვაობები ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია საკურსო სხვაობები სახით სხვა სრულ შემოსავალში.

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგება (წარმოდგენილი ათას აშშ დოლარში) შემდეგი თარიღით დასრულებული წლისთვის

	<i>2025 წლის 30 აპრილი</i>	<i>2024 წლის 30 აპრილი</i>
ამონაგები მასპინძლობის მომსახურებიდან	5,435	4,601
მასპინძლობის მომსახურების თვითღირებულება	(2,689)	(2,627)
საერთო მოგება მასპინძლობის მომსახურებიდან	2,746	1,973
დასაქმებულთა გასამრჯელოების ადმინისტრაციული ხარჯი	(593)	(533)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(593)	(621)
წმინდა ზარალი უძრავი ქონებისა და სხვა აქტივების გასვლის შედეგად	–	(5)
საოპერაციო შემოსავალი	1,560	823
ფინანსური შემოსავალი	37	44
ფინანსური ხარჯი	(406)	(390)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი) შემოსულობა	(406)	208
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	785	686
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–
წლის წმინდა მოგება	785	686
სხვა სრული შემოსავალი		
საკურსო სხვაობები კონვერტაციის შედეგად	(117)	(343)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	668	343

16. დამატებითი ფინანსური ინფორმაცია-კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა აშშ დოლარში (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (წარმოდგენილი ათას აშშ დოლარში)

	2025 წლის 30 აპრილი	2024 წლის 30 აპრილი	2023 წლის 1 მაისი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10,539	11,323	12,760
	10,539	11,323	12,760
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	193	167	163
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	104	48	58
ავანსები და სხვა აქტივები	86	105	131
გაცემული სესხები	–	–	779
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	–	–	20
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	1,673	871	174
	2,056	1,191	1,325
სულ აქტივები	12,595	12,514	14,085
სულ საკუთარი კაპიტალი	5,420	4,725	4,926
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	5,504	5,836	7,012
	5,504	5,836	7,012
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი ნაწილი	1,385	1,529	1,692
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	124	279	310
მიღებული ავანსები	21	25	48
სხვა ვალდებულებები	141	120	97
	1,671	1,953	2,147
სულ ვალდებულებები	7,175	7,789	9,159
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	12,595	12,514	14,085

შპს „გუდაური ლოჯის“
მმართველობის ანგარიშგება

შინაარსი

1.	საწარმოს საქმიანობის მიმოხილვა	1
1.1	სასტუმროს და სტუმართმასპინძლობის ბიზნესის მიმოხილვა	1
1.2	ფინანსური კოეფიციენტების მიმოხილვა	1
2.	კორპორაციული მართვის ანგარიში	2
3.	არაფინანსური ანგარიშგება	3

1. საწარმოს საქმიანობის მიმოხილვა

შპს „გუდაური ლოჯი“ (შემდგომში “კომპანია”) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2025 წლის 26 მარტს. კომპანია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია ნომრით 405766755. კომპანიის იურიდიული მისამართია: გივი კარტოზიას ქუჩა №10, 0177, თბილისი, საქართველო. კომპანია და მისი 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმო შპს „ჯორჯია ჰოსპიტალიტი მენეჯმენტ გრუპ გუდაური“ ერთად მოიხსენება როგორც ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სტუმარმასპინძლობის ბიზნესი.

შპს „გუდაური ლოჯის“ მაკონტროლებელი მშობელი საწარმო არის სს „საქართველოს უძრავი ქონება“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი არის სს „საქართველოს კაპიტალი“, ხოლო სს „საქართველოს კაპიტალის“ საბოლოო მესაკუთრე არის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „Georgia Capital“ PLC, რომლის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში ივაჭრება. კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

კომპანია სრულად იზიარებს მშობელი კომპანიის ეთიკის კოდექსს და ბაზარზე ოპერირებს მისი მმართველობის ქვეშ.

1.1 სასტუმროს და სტუმარმასპინძლობის ბიზნესის მიმოხილვა

ჯგუფს ეკუთვნის მოქმედი სასტუმრო, რომელიც დაარსდა 2019 წლის დეკემბერში და მოქმედებს სავაჭრო სახელწოდებით „გუდაური ლოჯი“. სასტუმრო მდებარეობს წამყვან სათხილამურო კურორტ გუდაურში, სათხილამურო ტრასის ფერდობზე, ის აღჭურვილია „ski-in“ / “ski-out” ინფრასტრუქტურით. სასტუმრო მოიცავს 121 ნომერს კავკასიონის მთების ულამაზესი ხედებით.

გასული ფინანსური წლის განმავლობაში, სასტუმროს დატვირთულობის კოეფიციენტი და ADR შეადგენდა 49%-ს და 165 აშშ დოლარს, შესაბამისად. შედეგად, სასტუმრომ 1.6 მილიონი აშშ დოლარის საოპერაციო მოგება დააგენერირა.

მიმდინარე წელს საქართველოში ტურიზმის სექტორმა ზრდა აჩვენა და მას აქვს პოტენციალი, მსოფლიო რუკაზე დაიკავოს მაღალი ხარისხის ტურისტული ადგილის სტატუსი.

1.2 ფინანსური კოეფიციენტების მიმოხილვა

	მოგების მარჟა მასპინძლობის მომსახურებიდან	ლიკვიდურობის კოეფიციენტი	ფინანსური ხარჯის ზრდა
შპს "გუდაური ლოჯი" კონსოლიდირებული	51%	1.23	9%

2025 წლის 30 აპრილით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის მოგების მარჟამ მასპინძლობის ბიზნესიდან შეადგინა 51% (2024 წელს: 43%), ხოლო შემოსავალი მასპინძლობის მომსახურებიდან წინა წელთან შედარებით გაიზარდა 23%-ით, რაც განაპირობა სასტუმროს დატვირთულობის კოეფიციენტის და ADR-ის ზრდამ.

2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანი აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს, შესაბამისად, ლიკვიდურობის კოეფიციენტმა 1.23 შეადგინა (2024 წელს: 0.61).

1. საწარმოს საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

1.2 ფინანსური კოეფიციენტების მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის ვალდებულებების ძირითად ნაწილს (96%) (2024 წელს: 95%) შეადგენს სესხი ადგილობრივი კომერციული ბანკისგან. ფინანსური ხარჯი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 9%-ით და შეადგინა 1,121 ლარი.

ფასს-ის მიხედვით 2025 წლის 30 აპრილით დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებების პირველი კომპლექტის აუდიტისთვის ჯგუფის აუდიტორისთვის გადახდილი საზღაური შეადგენდა 125 ათას ლარს (დღგ-ის გარეშე).

2. კორპორაციული მართვის ანგარიში

ჯგუფის შემადგენლობაში არსებულ თითოეულ კომპანიას მართავენ დირექტორები, რომლებსაც ნიშნავს მშობელი კომპანია. კომპანიის ყოველდღიური მართვა და წარმომადგენლობა ეკისრებათ დირექტორებს, კომპანიის წესდების შესაბამისად.

კომპანიის დირექტორები, წესდების შესაბამისად, აწარმოებენ და ახორციელებენ კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას, იძლევიან სტრატეგიულ რჩევებს და წარუდგენენ შედეგებს და დასკვნებს მშობელ კომპანიას, აცნობებენ ყველა შესაბამის დაინტერესებულ პირს კომპანიის მიზნების შესრულების შესახებ, მართავენ რესურსებს, თანამშრომლების მოზიდვის, დაქირავებისა და შენარჩუნების ჩათვლით, ამზადებენ წლიურ ანგარიშებს. დირექტორების მოვალეობებში შედის: კომპანიის დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხის წინასწარ განხილვა, შესაბამისი ინფორმაციის, წინადადებებისა და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, კომპანიის წესების, შინაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის შედგენა.

კომპანია მხარს უჭერს ქცევის მაღალ სტანდარტებს თავისი საქმიანობის ყველა ასპექტში და იცავს მშობელი კომპანიის ქცევის, კორპორაციული მართვის და ეთიკის კოდექსს. ამრიგად, ჩვენ მზად ვართ ვიმოქმედოთ სამართლიანად ჩვენს მომხმარებლებთან, კონკურენტებთან და მომწოდებლებთან. კომპანია ცდილობს დაამყაროს და შეინარჩუნოს გრძელვადიანი და ორმხრივი სარგებლის მომტანი ურთიერთობა თავის მომხმარებლებთან და შექმნას და წაახალისოს ნდობის, გამჭვირვალობის, ინოვაციისა და თანამიმდევრულობის გარემო. კომპანია უზრუნველყოფს მომწოდებლების შერჩევას და დანიშვნას დამსახურებისა და ბიზნესის ობიექტური სტანდარტების შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეალური ან აღქმული ფავორიტიზმი. გარდა ამისა, კომპანია იცავს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპს და უარს ამბობს კონკურენტებთან პირის შეკვრაზე ან უკანონო შეთანხმებაზე.

რისკის მართვა

სს „საქართველოს უძრავი ქონების“ საბჭო და აღმასრულებელი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვასა და შიდა კონტროლზე. ვცდილობთ დავნერგოთ რისკების ეფექტური და ძლიერი მართვა ყოველდღიურ საქმიანობაში. გარდა ამისა, მშობელი კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საჭიროა გახსნილობა და გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვმართავთ რისკებს, და სადაც ბიზნესის ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან რისკების მართვის და შიდა კონტროლის პროცესებზე. ამრიგად, ვიცავთ საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ დადგენილ მითითებებს და პოლიტიკას.

2. კორპორაციული მართვის ანგარიში (გაგრძელება)

რისკის მართვა (გაგრძელება)

მშობელ კომპანიას შექმნილი აქვს შიდა აუდიტის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ოპერაციების, საქმიანობის, სისტემებისა და პროცესების რეგულარულ მიმოხილვაზე/აუდიტზე, რათა შეაფასოს და უზრუნველყოს გონივრული, დამოუკიდებელი და ობიექტური რწმუნება და საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც შექმნილია კომპანიის ოპერაციებისთვის ღირებულების დამატებისა და გაუმჯობესების მიზნით. კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილება დამოუკიდებელია დირექტორთა საბჭოსგან. კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილების ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია მშობელი კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილების ხელმძღვანელის წინაშე, რომელიც ასევე დამოუკიდებელია მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭოსგან და, თავის მხრივ, უშუალოდ მშობელი კომპანიის აუდიტის კომიტეტის წინაშე არის ანგარიშვალდებული.

გარდა ამისა, ყოველთვიური საანგარიშო პაკეტების მომზადება ხდება კომპანიის ანგარიშგების გუნდის მიერ, რომელსაც შემდეგ გადახედავს ფინანსური ანგარიშგების ჯგუფის ხელმძღვანელი, ფინანსური დირექტორის მოადგილე და ფინანსური დირექტორი. ფინანსურ შედეგებს და ანგარიშგების პროცესს მშობელი კომპანია ყოველთვიურად აკონტროლებს. ძირითად ცვლილებებს და ბიუჯეტიდან გადახრებს ანალიზებენ მშობელი კომპანიის ანალიტიკოსები და ფინანსური განყოფილების უფროსი.

3. არაფინანსური ანგარიშგება

გენდერული მრავალფეროვნება

კომპანია, როგორც დამსაქმებელი, სრულ მხარდაჭერას უცხადებს თანაბარ შესაძლებლობებს და ებრძვის უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციას. მიგვაჩნია, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა დიდ სარგებელს იძლევა. გენდერული, სოციალური და ეთნიკური მრავალფეროვნება, კოგნიტური და პიროვნული ძლიერი მხარეები და უნარების, გამოცდილების, მიუყვანველობის და ცოდნის დაბალანსება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღება, როდესაც საქმე ეხება ახალი თანამშრომლის, მომხმარებლის, მომწოდებლის თუ კონტრაქტორის აყვანას.

ადამიანის უფლებათა პოლიტიკა

ადამიანური რესურსების და ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა კომპანიაში დასაქმებულთათვის განკუთვნილი პაკეტის განუყოფელი ნაწილია. იგი ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის და განახლებების მიწოდება ელექტრონულად ხდება. ადამიანის უფლებათა პოლიტიკა შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- ▶ თანაბარი შესაძლებლობები და დისკრიმინაციის აღკვეთა;
- ▶ შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო;
- ▶ საჩივრების პოლიტიკა.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს საქმიანობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი შიდა პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ჩვენი შიდა პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურებს და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურებს, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიულ განვითარებასთან და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

3. არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

ეთიკის კოდექსი და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა

მშობელ კომპანიას აქვს ეთიკის კოდექსი, ასევე მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა, რომელიც ასევე ვრცელდება შპს „გუდაური ლოჯზე“. ეთიკის კოდექსი და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის დანერგვა გულისხმობს შემდეგს:

- ▶ შიდა ინფორმირების და ცხელი ხაზის სისტემის ამუშავება;
- ▶ საჩუქრების ან სხვა სარგებლის გამჟღავნება, ჯგუფის თანამშრომლების მიერ გაწეული ან მიღებული მასპინძლობის ჩათვლით;
- ▶ კორუმპირებული ქცევის ნებაყოფლობითი გამჟღავნება;
- ▶ მესამე მხარის შემოწმება მათთან დაკავშირებული შესაძლო რისკების დასადგენად;
- ▶ ბანკების/პარტნიორების/კონტრაგენტების ინფორმირება ანტიკორუფციულ და მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპების შესახებ, მათთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე;
- ▶ იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებლებთან და მესამე მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავდეს მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო მუხლებს;
- ▶ იმის უზრუნველყოფა, რომ პარტნიორებთან/კონტრაგენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავდეს მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო საკითხებს;
- ▶ ონლაინ ტრენინგების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას კორუფციის და მექრთამეობის საკითხებზე.

მშობელი კომპანიის ეთიკის კოდექსის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე:

<https://georgiacapital.ge/sites/default/files/2020-10/Code%20of%20Conduct%20and%20Ethics.pdf>

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია ხელმძღვანელობის მიერ:

დირექტორი

გივი კობერიძე

2025 წლის 15 აგვისტო



პასუხისმგებელი პირების განცხადება

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

შპს გუდაური ლოჯის მიერ 2025 წლის 30 აპრილით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის წარმოდგენილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

ანგარიშგებების წარმოდგენით, შპს გუდაური ლოჯის მიერ სრულად შესრულდა 10 000 000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ობლიგაციების (საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი: (ISIN): GE2700605191, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: GE 03/10/2025) საჯარო ემისიასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ მიმართ „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულებები - აუდირებული წლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების წარდგენა.

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით, შპს გუდაური ლოჯის დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ფარგლებში, ვადასტურებთ, რომ შპს გუდაური ლოჯის მიერ წარდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება (2025 წლის 30 აპრილით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის) არის სრული, სწორი და სამართლიანი.


განცხადება გაცემულია საჭიროებისამებრ წარსადგენად.

ხელმოწერები:

შპს გუდაური ლოჯის

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ალფაიძე

/  /

შპს გუდაური ლოჯის

დირექტორი

გივი კობერიძე

/  /



თარიღი: 14.11.2025

ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია

„კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის“

შესახებ, არ არის აუდირებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ

დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ Application on submitting Corporate Governance Compliance Report თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)	0 7 / 1 0 / 2 0 2 5
---	----------------------------

1. ინფორმაცია გამომცემის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER



გამომცემის სახელწოდება/Issuer's Name	შპს გუდაური ლოჯი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
იურიდიული მისამართი/Legal Address	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქუჩა, N10, სადარბაზო N4, სართული 2, კომერციული ფართი, N10
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქუჩა, N10, სადარბაზო N4, სართული 2, კომერციული ფართი, N10
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(032) 2 444 111
ელ.ფოსტა/E-mail	info@n2.ge
ვებ-გვერდი/Web Site	https://gudaurilodge.ge/

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDICES

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) / Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):	
დანართი N2:	კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში, ასლი ერთი, გვერდების რაოდენობა 8.
დანართი N3:	დამატებით წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, ასლი ერთი, გვერდების რაოდენობა 2.

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON

გიორგი ალუკაძე	გივი კობერიძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი
პნ: 60001032791	პნ: 35001112720
ტელ: 558111155	ტელ: 599566611

	0 7	1 0	2 0 2 5
			

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება, გი, არა, ალტერნატივა	მოთხოვნა წლიური ანგარიშში გამტარებული შესაბამისი ანგარიშისათვის (ცვლილება/გა)	შესაბამისი დოკუმენტაციის, რომელიმე დამატებითი განმარტებული კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი სამთავროვო საბჭო. დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამთავროვო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	კი		საწარმოს წესდება	დირექტორთა საბჭო არაა, ამის ნაცვლიდ დირექტორი ახორციელებს პოლიტიკების ეფექტურ შესრულებას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ასაწარმოს უნდა გაანადგოს საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამთავროვო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი.	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ასაწარმოს უნდა გაანადგოს ვიოკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ვიოკური ქვეყნის მართლ სტანდარტებს.	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	ამ ეტაპზე საწარმოს არ გააჩნია წერილობითი ვიოკის კოდექსი, თუმცა საწარმო საქმიანობის, დამფუძნებლის აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტების შესაბამისად, თვის მხრივ დამფუძნებლის აქციონერის დამტკიცებული აქვს ვიოკის კოდექსი.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	ასაწარმოს უნდა გაანადგოს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებიც.	კი			წლიურ ანგარიშგებაში მოთხოვნილი სტრატეგიული დადგენილებები და დამტკიცებული პროცესები ასევე განმარტებულია ინფორმაცია კომპანიის ფინანსური რესურსების შესახებ.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დასაწარმოს უნდა გაანადგოს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: (ა) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	(ბ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და უცნალო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	(გ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოებრივების შესაბამისად;	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ასაწარმოს უნდა გაანადგოს სამთავროვო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტის დებულებები, რომელიც გარკვეულ იქნება კომიტეტის მანდატი, საწარმოს მიმართულებები და პრიორიტეტები, მათ შორის კომიტეტის სამთავროვო საბჭოსთან ანგარიშების, კომიტეტის წევრებისათვის დაკავშირებული შესრულებების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;	კი		კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ასაწარმოს უნდა გაანადგოს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არაფერ სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიკაციის, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშების პროცესებს. შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის გაწვევით ადმინისტრაციისა და საფარველი პროდუქტების, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პრიორიტეტებს.	კი		საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 3)	საწარმოს მმართველი ორგანოს წევრებისთვის წერილობითი საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემისთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართის სამთავროვო საბჭოს.	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 4)	საწარმოს წესდება, ვიოკის კოდექსი და კომიტეტის დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საერთოდ ხელმისაწვდომი.	ალტერნატივა		საწარმოს წესდება	საწარმოს წესდება ხელმისაწვდომია საწარმო რეგისტრის საიტზე. კომიტეტის დებულება ზიარდება თანამშრომლებთან მოთხოვნის შემთხვევაში.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 5)	საწარმომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი კორპორაციული მართვის სისტემის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მის მიერ შემუშავებული სხვადასხვა პოლიტიკისა და პრიორიტეტების სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კოდექსის მოთხოვნები.	ალტერნატივა			საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემის კოდექსთან შესაბამისობაში სრულყოფილად მოგვანა არის საწარმოს ერთ-ერთი განსაკუთრებული მართვა, რასთან დაკავშირებითაც საწარმოს შესაბამისი საშალებები აქტიურად თანამშრომლებს (მათ შორის, შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების მოსაშუადგენად)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1)	თითოეულ საწარმოს უნდა გაანადგოს ვიოკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, მალეულების მორატად გამოყენების, კორუფციის, ინადავრული გაჭირვების, ფულის გათვარებისა და სხვა კანონმდებლობით დაკავშირებული საკითხების თაობაზე აცხადებს საკითხებს, კერძოდ, ვიოკის კოდექსი უნდა მოიცავდეს:	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) მოთხოვნის იმის თაობაზე, რომ მმართველი ორგანოს წევრები და საწარმოს თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და პრიორიტეტულად;	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მოთხოვნის იმის თაობაზე, რომ დირექტორები უნდა მოქმედებდნენ საწარმოს და აქციონერის/მართლწარმოთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისა და მისი გამოვლენის პროცესები;	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კორუფციული პრაქტიკის აღკვეთის პროცესები, რომელიც მოიცავს ქრთამის, საჩუქრების, თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას;	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	ამ ეტაპზე საწარმოს არ გააჩნია წერილობითი ვიოკის კოდექსი, თუმცა საწარმო საქმიანობის, დამფუძნებლის აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტების შესაბამისად, თვის მხრივ აქციონერის დამტკიცებული აქვს ვიოკის კოდექსი.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) უკანონო ან არაკეთილეს ქვეყანათა დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნების პროცესები;	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) საწარმოს ინფორმაციის, აქტივების მონიტორინგი გამოყენების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხებს;	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) კანონმდებლობისთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხებს;	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) ანონიმური მხილების ეფექტური სისტემის, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებსა და დირექტორებს შორის შეიძლება უკანონო/შეუსაბამო/არაკეთილესი დეტალების კონფიდენციალურად, ანონიმურად და/ან პარამეტრულად ანგარიშგება მოხდეს;	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 2)	საწარმომ ვიოკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განაგრძებდეს სამთავროვო საბჭომ.	ალტერნატივა		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 3)	საწარმოს ვიოკის კოდექსი ვრცელდება საწარმოს მმართველი ორგანოსა და საწარმოს მომსახურე პირებზე.	ალტერნატივა		აქციონერის მიერ დადგენილი ვიოკის სტანდარტები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1)	კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საწარმოს სამთავროვო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელი არიან:	ალტერნატივა		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვრის საწარმოს ღირებულებები და მართის საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ვიოკის პრინციპების სრულ დაცვით;	კი		საწარმოს წესდება	

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების შესრულება და ეფექტური გადამწყვეტილების მიღების პროცესი;	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) განსაზღვრონ საწარმოს ვითვის პრინციპები და მუდმივად აფასებდნენ დირექტორთა საბჭოსილის ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამტკიცებას და შენარჩუნებას, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე, საწარმოს ვითვის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან შედგენ შესაბამისობას;	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) დამატკიცონ საწარმოს კოდექსი-ური ბიულეტენი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დამატკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული გარემო, შესაძლო საშიშვლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მართვების საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;	კი		საწარმოს წესდება	დირექტორთა საბჭო არაა, ამის ნაცვლად დირექტორი ახორციელებს პოლიტიკების ეფექტიან შესრულებას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი);	ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსთან რეგულარულად შეხვედრას, მათ შორის განმარტებებსა და რჩევებს იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიას და რისკების მართვის ჩარჩოს;	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმომ შრომის ანაზღაურების, სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას;	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და სხვა მნიშვნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას;	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 2);	სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე კვარტალში ერთხელ უნდა მართავდეს სხდომებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, ზრდიდეს სხდომების სიხშირეს;	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 3)	საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს, აქტივობების/მარეგულირება და სხვა დამატკიცებული მართვის ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს აქტივობების/მარეგულირებათა და დამატკიცებული მართვითა და ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.	კი		საწარმოს წესდება	
